1.სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიასა და მიზნებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომში გაუმჯობესების მიზნით - შიდა კონტროლის განხორციელების მექანიზმები. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დოკუმენტი. ყველა ამ დოკუმენტის შეჯერებით, ჩანს, რომ სკოლაში პროცესის მართვა განსაზღვრავს სკოლის ხარისხის განვითარების ციკლს, თითოეული სტრუქტურული რგოლის მუშაობის პრინციპებსა და ფუნქცია მოვალეობებს სკოლის მიზანმიმართული განვითარებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის ნიმუში (2023-2024წ.წ), კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება გაუმჯობესების დოკუმენტი- უზრუნველყოფს სკოლის ძირითად პროცესებს (სასწავლო), მმართველობითი პროცესები რეგულირდება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით, პერსონალის მართვა- ადამიანური რესურსების მართვის და ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დოკუმენტებით,კათედრის დებულებით, ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის და მომსახურების მექანიზმებით(მოსწავლეთა ადაპტაცია,ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, შინაგანაწესი, დასაქმებულთა ხელშეკრულებები). **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემა. სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ (20ივნისი 2023წ ოქმიN10)დამტკიცებული ,, სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი“ (N3 საჩივრის განხილვის მექანიზმი). გასაჩივრების მიზნით დაინტერესებულმა პირმა შესაძლებელია მიმართოს სამეურვეო საბჭოს. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული გამოცდის დანიშვნის წესი. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, სკოლის შინაგანაწესში არის მუხლები, რომელშიც გაწერილია დარღვევათა ტიპები და დისციპლინური სახდელები. **ინდიკატორის მოთხოვნებს შესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლას გაწერილი აქვს სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ სკოლის შინაგანაწესი, მრჩეველთა საბჭო , საჩივრის განხილვის მექანიზმი. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, საჯაროა და ხელმისაწვდომი როგორც მოსწავლის, ასევე მშობლისთვის. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების უფლებებსა და მოვალეობებს. შინაგანაწესში გაწერილია ყველა დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისი სახდელი, რაც შეიძლება მოჰყვეს სხვათა უფლებების დარღვევას. დისციპლინური დევნა ეყრდნობა და წარიმართება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მშობლებთან ურთიერთობის დებულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ნდ-2-020101-22-სასწავლო-გეგმის-შეფასება-და-გაუმჯობესება; N3 საჩივრის განხილვის მექანიზმი; შინაგანაწესი; მოსწავლეთა ადაპტაცია, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, დასაქმებულთა ხელშეკრულებები; კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია., მშობლებთან ურთიერთობის დებულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებასთან, ცვლილებებთან და განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმირების, მათგან უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები (დამრიგებლების ოქმები, საინფორმაციო შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია, საინფორმაციო დაფა, სოც. გვერდი, Teams პლატფორმაზე)სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება როგორც მშობელთან კრებებზე პირისპირ შეხვედრისას ჯგუფურ ან ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ისე- სოციალური ქსელების საშუალებით. https://www.facebook.com/search/top?q=%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%20%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98 სკოლას წარმოდგენილი აქვს სოციალურ ქსელში გვერდი: ჩაისუბნის საჯარო სკოლა ქობულეთი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.

2.სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, სკოლის მართვაში უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლების მონაწილეობით სამეურვეო საბჭოში სკოლის უმაღლეს არჩევით ორგანოში, რომელის ითანხმებს ან ამტკიცებს სკოლისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. სამეურვეო საბჭოში თანაბრადაა წარმოდგენილი მასწავლებლების და მშობლების რაოდენობა, ჩართულია სკოლის არჩევითი სტრუქტურული ერთეულის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე.მოსწავლეთა თვითთმართველობის საშუალებით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართვა სკოლის მართვაში, მასწავლებლები- პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სკოლის მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღებაში. სკოლის დისციპლინური კომიტეტში მშობელთა წევრობის კანდიდატების არჩევა და მათი მონაწილეობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დისციპლინური კომიტეტში მუშაობისას შესაძლო დისციპლინური გადაცდომების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს. აღნიშნული ფაქტები ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართვას მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სოციალური გვერდის ლინკი, დანართი N 3 სამეურვეო საბჭოს ოქმი N2, დანართი N 7 კათედრა, -პედაგოგიური საბჭოს სხდომის, მოსწავლეთა თვითმმართველობის , სამეურვეო საბჭოს,კათედრების, მრჩველთაა საბჭოს, დისციპლინალური კომიტეტის სხდომის ოქმები., დანართი #30, დანართი #20, მშობლებთან ურთიერთობის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დასკვნის პროექტში მითითებული იყო: ,,სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება", სადაც თავი I მუხლი 7. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები აღწერილია რა მექანიზმებით უნდა უზრუნველყოს სკოლამ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. სკოლა მთელს პერიმეტრზე შემოსაზღვრულია ღობით, ძირითადი შენობიდან 4 გასასვლელია, დამხმარე შენობას, სადაც განთავსებულია სპორტული დარბაზი, სასადილო, სააქტო დარბაზი პირველი სართულზე აქვს რკინის გისოსები, რაც სახანძრო უსაფრთხოების ნორმებით არ არის დაშვებული, შენობიდან ერთი გასასვლელია. სკოლაში უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი-ორი მანდატური. სკოლის ძირითადი შენობის ოთხივე სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა; გამოკრულია შესაბამისი უწყებების ტელეფონის ნომრები(მათ შორის 112). ჰყავს ცეცხლფარეში (შრომითი ხელშეკრულება N2 15 ნოემბერი 2022). სკოლას იცავს დარაჯი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძ. N41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დამტკიცების შესახებ შესაბამისად სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმი (მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე), თუმცა გამოცხადებულ ვაკანსიის შევსება ვერ მოხერხდა, ამიტომ სკოლამ დაასაქმა ექთანი (საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად ბრძ. N41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი დანართი 1.2).

ა)სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან.

ბ)არ აქვს წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა და მიწერილობა შესაბამისი სახანძრო უსაფრთხოების აღმოფხვრის შესახებ შესაბამისი უწყებებიდან. დასკვნის მისაღებად სკოლამ მიმართა წერილით (N881022 14/07/2023) შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურს.

გ) სკოლას არ აქვს წარმოდგენილი დასკვნა შენობის კონსტრუქციის მდგრადობის შესახებ. (აქვს მიმართვა წერილის საფუძველზე შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) მოკვლევის დაწყებისა და შესაბამისობის დასკვნის გაცემის შესახებ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. (წერილი N 880910 14.07.2023).“

არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განისაზღვრა: ა)ერთწლიანი პერიოდი 20.08.2023-20.08.2024 შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვების შესახებ; ბ)ერთწლიანი პერიოდი 15.09.2023-30.08.2024 შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად.

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან.

აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შენობის მდგრადობის მოკვლევის, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება“, მუხლი 8. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები- გაწერილია რას გულიხმობს სკოლა ამ მიმართულებით. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია ყველა ის ქცევა, რომელთა დარღვევა იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას და სკოლას აქვს ამავე დოკუმენტში გაწერილი დარღვევების შესაბამისი დისციპლინური სახდელები, რომლებიც დარღვევის ტიპის მიხედვით მოსწავლეების შემთხვევაში წყდება დირექტორის გადაწყვეტილებით(ბრძანება) ან დისციპლინური კომიტეტის ჩართვით, მასწავლებლის შემთხვევაში კვლევას აწარმოებს დისციპლინური კომიტეტი. სკოლა მოქმედებს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება N06/ნ-ით- შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის ერთერთი მანდატური. (წარმოდგენილია მრჩეველთა საბჭოს ოქმი). სკოლის ტერიტორიაზე არც გარე პერიმეტრზე და არც შენობებში არ არის განთავსებულია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები. სკოლას ჰყავს 2 (ორი) დარაჯი, რომელიც ახორციელებს სკოლის ტერიტორიაზე შემოსული ყველა უცხო პირის რეგისტრაციას შესაბამის ვიზიტორთა ჟურნალში. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

3. სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო,რომელსაც არეგულირებს თავად სკოლა მოსწავლეთათვის შეთავაზებული არაფორმალური აქტივობებით(პროექტები, კონფერენციები, მასწავლებლებთან ურთიერთდასწრებები, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი), რასაც არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეებს, პედაგოგებს,ადმინისტრაციასა და დირექციას ერთმანეთთან აქვთ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც მათ საშუალებას აძლევთ, მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, წახალისებულია განსხვავებული აზრის პატივისცემა. მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ აზრს. სკოლაში მიუკერძოებელი, სამართლიანი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად კომფორტული გარემოა ჩამოყალიბებული. სხვადასხვა პროექტები და აქტივობები (სოციალურ გვერდზე ასახული მასალა)მოსწავლეთა ჩართულობით, მეტყველებს რომ სკოლაში კომფორტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გარემოა. დაცულია მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა კონფიდენციალურობა. სკოლას აქვს შემუშავებული რეფერირების წესი, რომლის განხორციელებაზე სკოლას პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ჰყავს სკოლის უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივ წესრიგის დაცვაზე (ბრძ. N01-03/37 10.08.2023). პასუხისმგებელ პირი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლას წარმოდეგნილი აქვს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის მექანიზმი.სკოლას ჰყავს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვაზე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პასუხისმგებელი პირი-მედდა(ექთანი) (ბრძანება 01-03/33 10.08.2023). ვიზიტის დროს(საზაფხულო არდადეგების პერიოდი) დათვალიერებულ იქნა სველი წერტილები, სანიტარულ- ჰიგიენური საშუალებები ინახება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ზედამხედველობის ქვეშ ძირითადი შენობაში მდებარე ოთახში, რომელსაც აქვს ფანჯრბები და განიავება ხდება მუდმივად. სველი წერტილები ცალ-ცალკე გამოყოფილია მასწავლებლისთვის, გოგონებისთვის, ვაჟებისთვის და იზოლირებულია, არის ხელსაბანები, დახურული ნაგვის ურნები. სკოლას ჰყავს საშტატო განრიგით 4 დამლაგებელი.
ამ ეტაპზე სკოლაში მიმდინარეობს სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაციის პროცესი(ვიზიტის პერიოდში მთავრდებოდა სახურავის შეკეთება) **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 15თებერვლის N 01-03/5 ბრძანებით, . რომლის შესრულებასაც მონიტორინგს უწევს სკოლის დირექცია. საჭიროების შემთხვევაში ხდება მონაცემების განახლება, სკოლაში მონაცემები ინახება ვადების დაცვით. სკოლის ადმინისტრაცია იცავს თანამშრომელთა პირად მონაცემებს, კლასის დამრიგებლები მოსწავლეების და მშობლების - მონაცემებს. ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა ახორციელებს ელექტრონული ბაზის ადმინისტრირებას პორტალზე Eschool.emis.ge; ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს. ბაზებში არსებული მონაცემების შემოწმება/გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უფლებამოსილი პირის მიერ. მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია დაცულ სივრცეში, წვდომა აქვს საქმისმწარმოებელს და უშუალოდ კლასის დამრიგებელს. წარმოდგენილ დოკუმენტში 19 მუხლია და დეტალურადაა გაწერილი მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.

6. სკოლა მუშაობისას იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების გარეშე. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

7. სკოლა იყენებს სხვადასხვა გზით მიღებულ ინფორმაციას სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისთვის (სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე, დახურულ ჯგუფებში მშობელთა კომენტარები, მშობელთა კრებები, ონლაინ შეხვედრები). დასტურდება, რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებდეს მექანიზმების გასაუმჯობესებლად. ვურჩევთ სკოლას შექმნას ანონიმური კითხვარები ამ საკითხებთან დაკავშირებით, რათა მიღებულ უკუკავშირზე ჰქონდეს რეაგირება. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები. ბრძ. N01-03/37 10.08.2023, ბრზ. სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის მექანიზმი, ბრძ. საზოგადოებასთან ურთიერთობის პასუხისმგებელი პირი, სანიტარულ -ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირი, ცეცხლფარეშის ბრძანება, ბრძ. რეფერირება,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლას მიერთებული აქვს და ყოფილი სკოლა -პანსიონი. ორივე შემთხვევაში სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერები საჯარო რეესტრიდან. სკოლა --პანსიონი ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს. ის მდებარეობს N2 სკოლასთან ახლოს სხვა მიწის ნაკვეთზე, ინფრასტრუქტურულად გამართულია ძირითადი კორპუსი(ყოფილი მოსწავლეთა საცხოვრებელი), დანარჩენი ორი კორპუსი(სასწავლო) გამოსადეგი არ არის(ჩამონგრეულია ან იშლება).

სკოლის ძირითადი სასწავლო კორპუსი მდებარეობს 20 362 კვ.მ ფართობზე. დგას ორი კორპუსი ძირითადი და დამხმარე , რომლებიც ერთმანეთს ფლიგელებით უკავშირდებან. სკოლაში არის შესაბამისი ინვენტარი მოსწავლეებისთვის, სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ლაბორატორია -კაბინეტები (ძირითადი საჭირო ინვენტარით), ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. საკლასო ოთახები ნათელი და ფართოა, მოსწავლეთათვის განკუთვნილი ავეჯი(მერხები და სკამები) კარგ მდგომარეობაშია. ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეწოდა დამატებითი კომპლექტები (მერხი-სკამი). ინვენტარიზაციის დოკუმენტებით იკვეთება, რომ სკოლას აქვს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შესაბამისი ინვენტარი და რესურსი. ამ ეტაპზე სკოლაში მიმდინარეობს ნაწილობრივი რეაბილიტაციის პროცესი(აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით), მომავალი წლიდან იგეგმება სკოლის სრული რეაბილიტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.

2.სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, სკოლას აქვს ბიბლიოთეკა შესაბამისი წიგნადი ფონდით, რესურსოთახი სსსმ მოსწავლეებზე გათვლილი რესურსებით,სკოლაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ცალ-ცალკე ლაბორატორია- კაბინეტები შესაბამისი ინვენტარით, ფუნქციონირებს სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, სკოლაში არის რეკრიაციული სივრცეები- დერეფნები, ოთახები(კათედრებისთვის), თვითმმართველობისთვის,სამასწავლებლო, მანდატურის ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, კანცელარია, დიდი ფართობის ეზო და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. დასკვნის პროექტში მითითებული იყო, რომ სკოლის ძირითადი კორპუსის შესასვლელში არის პანდუსი, რაც აძლევს მოსწავლეს სკოლის ძირითად შენობაში შესვლის საშუალებას, თუმცა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერულ ლაბორატორიასთან, რომლებიც მდებარეობენ მეორე მესამე სართულებზე ეტლით მოსარგებლე ან გადაადგილების შეფერხების მქონე მოსწავლისთვის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლად წვდომა შეზღუდული იქნება. შეზღუდულია წვდომა დამხმარე შენობაში მდებარე სპორტულ და სააქტო დარბაზებთან, თუ მოსწავლემ გადასაადგილებლად ორივე კორპუსის შემაერთებელი ფლიგელებით ისარგებლა. ასევე სსსმ და შშმ მოსწავლისთვის განკუთვნილი სველი წერტილი, რომელიც მდებარეობს პირველ სართულზე არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან, რადგან მოსწავლისთვის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი ინვენტართან მისასვლელად ორი საფეხურის ასვლა დასჭირდება.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს აქტივობები, მათ შორის შესაბამის უწყებასთან ფინანსური მხარდაჭერის შესახებ, ინკლუზიური გარემოს სრულყოფილად მოწესრიგების მიზნით (გადაადგილების შეფერხების მქონე პირისთვის მეორე სართულზე მდებარე კომპიუტერების ლაბორატორიასთან, მესამე სართულზე ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიებთან დამოუკიდებლად წვდომის უზრუნველყოფის მიზნით), განსაზღვრული ჰყავს ჩართული მხარეები. (დანართი3.5.1.3. წერილი ინფრასტრუქტურას). გაწერილია პერიოდი პრობლემის აღმოფხვისთვის 13.10.2023- 13.10.2024.

<u>ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა, როგორც მეტწილად შესაბამისი.</u>

4. სკოლაში არის პოზიტიური გარემო. როგორც აღნიშნეს, სკოლაში ინტენსიურად ტარდება სხვადასხვა შემეცნებითი, სოციალური, კულტურული, სპორტული აქტივობები, სადაც ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მსგავსი ტიპის ღონისძიებები სკოლის საერთო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სივრცეებში დერეფნებში, სკოლის ეზოში, საკლასო ოთახებში ტარდება. სკოლა არის ბავშვებისთვის სოციო-კულტურული სივრცე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლას კურიკულუმის განხორციელებისთვის აქვს სხვადასხვა რესურსი. გრიფირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა ასაკის შეაბამისად, რომელსაც იყენებს კურიკულუმის განხორციელების პროცესში. სკოლას აქვს კომპიუტერები, პროექტორი, პრინტერი, რომლის გამოყენებაც ხელს უწყობს კურიკულუმის განხორციელებას. სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, დიდ ფართობზე - სარეკრიაციო სივრცე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან(N2 სკოლა), ამონაწერი საჯარო რეესტრიდან(სკოლა-პანსიონი), ინვენტარი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერები, დაფინანსების დინამიკა, ინვენტარიზაცია, კომპიუტერები,მერხების მიღება-ჩაბარების აქტი,ბიბლიოთეკის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. .სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არის გამართული და უზრუნველყოფს, სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას. სკოლას აქვს პროექტორები, ინტერნეტი კომპიუტერები და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურული მასალა. სკოლას აქვს პერსონალური კომპიუტერი -7, ლეპტოპი-15, პროექტორი-4, პრინტერი-2 . გამართულ მდგომარეობაშია 23კომპიუტერი. არსებული 23 კომპიუტერი გადანაწილებულია ადმინისტრაციაზე და კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლა მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, გეგმავს 20 კომპიუტერის(ლეპტოპის) მოძიებას და კომპიუტერული ლაბორატორიის შევსებას. წარმოდგენილი დანართი ,,ციფრული განვითარების გეგმა“ ადასტურებს, რომ დაწესებულების ხელთ არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრაქსტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის წარმართვას, თუმცა საჭიროებს შევსებას და სკოლა ფიქრობს პარტნიორ ოგანიზაციებთან კონტაქტით, სხვადსხვა პროექტებში მონაწილეობით შეავსოს საჭირო რაოდენობა. სკოლა ინტერნეტით დაფარულია სკოლაში ინტერნეტით სარგებლობა შეიძლება კომპიუტერულ ლაბორატორიაში
სკოლას ინტერნეტი მიეწოდება 50 მგბ/წმ სიჩქარით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.**

2.სკოლაში ვიზიტისას გამოჩნდა, რომ სკოლას აქვს გამოყოფილი სამუშაო სივრცეები მასწავლებლებისთვის (სამასწავლებლო), მოსწავლეებისთვის (კომპიუტერული ლაბორატორია), ადმინისტრაციისთვის (სკოლის კანცელარიაში). მოსწავლეებს სამუშაო სივრცის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოყენება შეუძლიათ უქმე დღეებშიც. სკოლაში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ 130 მოსწავლეს სახლში არ აქვს წვდომა ინტერნეტთან და არ აქვს კომპიუტერული ტექნიკა,ასევე 10 მასწავლებელიც მსგავს მდგომარეობაშია. სკოლა ცდილობს მოიძიოს შესაბამისი ორგანიზაციები, რომელთა დახმარებითაც გააუმჯობესებენ და შეავსებენ ტექნოლოგიების რაოდენობას. სკოლას წარმოდგენილ ციფრული განვითარების გეგმაში გაწერილი აქვს სამუშაო სივრცეებისთვის განრიგი და გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა წარმოადგინა კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომლის შესაბამისად მიმდინარეობს საქმისწარმოება დაწესებულებაში. დოკუმენტში აღწერილი კანონის შესაბამისად განხორციელებული ქმედებები სკოლაში დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებით. როგორ აწარმოებს შიდა და გარე დოკუმენტაციას, რა ტიპის ბრძანებები მზადდება, დოკუმენტბრუნვის აღრიცხვის ჟურნალები და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, office365, Gmail. ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს სოციალურ გვერდს, ასევე მშბელთა დახურულ ჯგუფებს, იყენებს Teams პლატფორმას. სკოლა გეგმავს კიდევ უფრო განავითაროს ტექნოლოგიების გამოყენება. სკოლა კომუნიკაციისთვის გამოიყენებს უკვე ამოქმედებულ სკოლის ვებ გვერდს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eschool და მოთხოვნილ დროში ასახავს ყველა ინფორმაციას კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამისი პირი მუშაობს საინფორმაციო ბაზებთან. სკოლაში ვიზიტისას ჩვენს მიერ დათვალიერებული იყო ბაზა შევსებული იყო ყველა სავალდებულო ველი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. კერძოდ, დირექტორის მ/შ, დირექტორის მოადგილე-1, 24 უფროსი მასწავლებელი, 6 წამყვანი მასწავლებელი, ბუღალტერი -1, საინფორმაციო მენეჯერი-1, ექთანი -2, მტუკი-1, ბიბლიოთეკარი -1 სპეცმასწავლებელი-1, სსსმ-ს ასისტენტი-1, ტექნიკოს-ხელოსანი-1, დარაჯი-3, დამლაგებელი -5, დაცვა -1,

მუშა-1,ცეცხლფარეში-2,დასახლისი-1,მრეცხავი-1, ჭურჭლის მრეცხავი-2, ძიძა დღის -1, ძიძა ღამის-2. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სკოლას საქმის წარმოების წესის შესაბამისად ახორციელებს ანგარიშგებას, რეაგირებას შემოსულ კორესპონდენციაზე. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად სრულად თანამშრომლობს შესაბამის უწყებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის საქმისწარმოების წესი, სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ჟურნალი, პროფეილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში,

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დასკვნის პროექტში მითითებული იყო: სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერით სკოლების საერთო პორტალზე **skolebi.emis.ge გამოეყო ვებ-გვერდი**, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰქონდა გამოქვეყნებული დოკუმენტაცია, რომლითაც სკოლაში პროცესები რეგულირდება. სკოლას აქვს სოციალური გვერდი,რომელსაც იყენებს საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის დასამყარებლად.ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ პერიოდში სკოლამ გააააქტიურა ვებ გვერდი, გამოაქვეყნა სკოლის შესახებ ინფორმაცია. **არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილია მტკიცებულება სკოლის ვებგვერდის გააქტიურების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესახებ. ავტორიზაციის <u>ექსპერტთა მიერ აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განხორციელებელი აქტივობებისა და რესურსების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც შესაბამისი.</u>

2. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაციები სკოლის სოციალურ ქსელში სანდო და უტყუარია, რაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების კომენტარებით, სკოლაში არსებული დოკუმენტაციით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია**.

3. სკოლა კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან ამყარებს სოციალური ქსელში სკოლის გვერდით, დახურული ჯგუფებით(ყველა დამრიგებელს აქვს შექმნილი მშობელთა ჯგუფი, სადაც ყველა საჭირო ინფორმაცია ზიარდება). გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ უკუკავშირს იღებენ კომენტარებით. უკუკავშირის დამადასტურებელი მასალა წარმოდგენილია სოციალურ გვერდზე . ყველა გამოქვეყნებულ მასალას აქვს პოზიტიური კომენტარი, რაც ვფიქრობთ, სკოლის მართვის სწორ პოლიტიკაზე მეტყველებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია**.

4. სკოლას აქვს ვებ გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან eschool.emis.ge ავტომატურად შევსებული(კანონმდებლობით) მასალა: სკოლის სახელწოდება, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის დირექტორის სახელი და გვარი, სკოლის ტელეფონი, მეილი,მოსწავლეთა დარჩენილი ადგილები, სსსმ მოსწავლეთა დარჩენილი ადგილები ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.**

5. სკოლას პორტალზე skolebi.emis.ge- აქვს საკუთარი გვერდი. სკოლას გამოყოფილი ჰყავს ვებ გვერდზე პასუხისმგებელი პირი. ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა გააქტიურებული სკოლის ვებ გვერდი.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაადასტურა ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ფინანსური ანგარიში <u>აღნიშნული შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც შესაბამისი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადმინ.ჯი.ანაბეჭდი, სკოლის სოციალური გვერდის ლინკი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 17 ნოემბერის ბრძანება N01-03/46, რითაც დაამტკიცა შესყიდვების წესი და შესყიდვების წლიური გეგმის ფორმა. ბრძანება N01-03/46 (17.11.2022) სკოლის 2023 წლის შესყიდვების წლიური გეგმა (დანართიN1), სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი. სკოლამ წარმოადგინა 2020-2023 წლის დაფინანსების დინამიკა, მათ შორის 2023 წლის ბოლო 7 თვე. ასევე წარმოდგენილია 2022 წლის 10 დეკემბერს სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6 სკოლის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებასთნ დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშიდან ჩანს, რომ სკოლის ძირითადი დაფინანსების წყაროა მოსწავლეთა ვაუჩერები, თუმცა სკოლას აქვს გაიჯარებული ორი ფართი (ბუფეტი და ცეკვის წრე), საიდანაც ღებულობს შემოსავალს. სამეურვეო საბჭოს ოქმიდან იკითხება, რომ სკოლამ შეძლო 2022 წლის ბიუჯეტით კომუნალური ხარჯების, სკოლისთვის საჭირო საოფისე ნივთების და სხვა ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვა. წლიური ნაშთი 2022 წლისთვის 5173 შეადგენდა. როგორც სამეურვეო საბჭოს ოქმიდან იკითხება, სკოლის 2022 წლის ბიუჯეტი პასუხობდა სკოლის მოთხოვნილებებს. სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების საფუძველს, სკოლას აქვს წარმოდგენილი ბიუჯეტი, შესყიდვების გეგმა, რის საფუძველზე ახორციელებს სკოლის ფინანსური მართვა.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა 2005 წლის 15 სექტემბერს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ 448 ბრძანებაში ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ მოიხსენიება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N1 საჯარო სკოლად. ამავე ბრძანებაში დანართი N3 - ით დამტკიცებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა, რომელიც დაწყებით-საბაზო საფეხურზე ახორციელებდა პანსიონურ მომსახურებას ბრძ.448.დანართი3). N1 და N2 (სკოლა პანსიონი) საჯარო სკოლების შერწყმის შედეგად, N1 სკოლას ეწოდა სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა (ამონაწერით საჯარი რეესტრიდან), ხოლო სკოლა პანსიონის ტერიტორიაზე აღარ ფუნქციონირებს არც სკოლა და არც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პანსიონი. როგორც სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლა პანსიონის შენობა არის სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლის ბალანსზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას არ აქვს პანსიონის სტატუსი მინიჭებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რაც დირექციასთან ინტერვიურებისასაც გამოიკვეთა, რომ პანსიონი არ ფუნქციონირებს, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა საბიუჯეტო განაცხადი, პანსიონის საპროგნოზო ბიუჯეტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024-2027 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნირებაზე. (იხ. დანართი ,,პანსიონის ბიუჯეტი საბიუჯეტო პროგნოზი ქვეპროგრამა“). ასევე სკოლის საინფორმაციო ბაზაში eschool-ში თანამშრომელთა სიაში ფიქსირდება ღამის ძიძა, დღის ძიძა, ჭურჭლის მრეცხავი-2, მრეცხავი -1, ცეცხლფარეში -1 და სხვა პერსონალი. სკოლამ წარმოადგინა ორი (2) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შესახებ 2023 წლის **საკადასტრო კოდი** 20.49.01.051 **და საკადასტრო კოდი 20.49.01.052.** ასევე წარმოდგენილი 2015 წლით დათარიღებული შესყიდვების წლიური გეგმა (დანართიN9). დირექტორთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა პანსიონის ტერიტორიაზე მდებარე ოთხი კორპუსიდან დარჩენილია ერთი საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც კარგ ვიზუალურ მდგომარეობაშია აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით ნარჩუნდება საჭიროების შემთხვევაში (მოსწავლეები) გამოსაყენებლად.

2. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში ინდ. აქტით შედის ცვლილებები (იხ.დანართი შესყიდვების წესი, გეგმები და ბრძანებები).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

,,პანსიონის ბიუჯეტი საბიუჯეტო პროგნოზი ქვეპროგრამა, დანართიN9, დანართი შესყიდვების წესი, გეგმები და ბრძანებები, სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი, სამეურვეოს ოქმიN6- სკოლის ფაქტობრივი ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიშგება, ორი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა მოვალეობები, ასევე მათი წახალისების ფორმები - მუხლი 11. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი. შინაგანაწესით რეგულირდება ასევე დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები: მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მუხლი 17. მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები მუხლი 19. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მუხლი 24. სკოლაში ჩაცმულობის წესი.

სკოლას ასევე შემუშავებული ჰქონდა - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი. ამ დოკუმენტის ერთერთი მთავარი მიზანი სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაა. სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელშიც გაწევრიანებული არიან როგორც საშუალო ისე საბაზო საფეხურის მოსწავლეები, ისინი მონაწილეობას ღებულობენ დისციპლინურ კომიტეტში და სამეურვეო საბჭოში, სადაც ჩართულნი არიან თავიანთი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფად. ვიზიტის ფარგლებში, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ადმინისტრაცია და მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, აქცენტი კეთდება სიღრმისეულ სწავლასა და ინკლუზიური განათლების/სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპების დაცვაზე. სსსსმ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად სკოლის ისგ გუნდი შეიმუშავებს ინდივივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმებს და სთავაზობს თითოეულ სსსმ მოსწავლეს საჭირო საგანმანათლებლო მომსახურებას, რაც დადასტურდა სკოლაში გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (ისგ გეგმები, სპეციალური პედაგოგის ანგარიშები, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები) **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სასკოლო საზოგადოებისთვის რეგულაციების გაზიარების მიზნით, სკოლაში შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები. კერძოდ, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ვიზიტის პერიოდში, აღნიშნული პრაქტიკიდან მაგალითების მოხმობით დაადასტურეს მასწავლებლებმა, აგრეთვე, შინაგანაწესი გამოკრული იყო ყველა სართულზე, საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. ექსპერტების მიერ გადამოწმდა არსებული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები, ასევე ახალი ხელშეკრულებების ფორმები და დადგინდა, რომ ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასევე ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი; ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება; მოსწავლის-შეფასება-2022-ისგ;შიდა-მონიტორინგის-დასკვნა-ისგ; მშობელთან ურთიერთობის დებულება; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით განსაზღვრულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზრვრული სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა ან/და შეწყვეტის, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რითაც დასტურდება, რომ მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვა განხორციელდა ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანება ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის" 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე. Eschool შესწავლით, დასტურდება, რომ სკოლა ეფექტურად ახორციელებს/იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას აცნობენ მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასწავლო წლის დაწყების წინ, დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც ვალდებულები არიან გააცნონ მათ ასევე სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტაუციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სასკოლო სასწავლო გეგმა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. შინაგანაწესის თანახმად, სკოლა ვალდებულია დოკუმენტი განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას, რაც დადასტურდა ვიზიტის პერიოდში ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის დროს. შინაგანასესი გამოკრული იყო ყველა სართულზე, საინფორმაციო დაფაზე. აგრეთვე, სკოლა ვებგვერდის შექმნამდე, ინფორმაციის გასაზიარებლად იყენებდა ალტერნატიულ საშუალებებს (სოციალური ქსელში შექმნილი ჯგუფები, თიმსის ჯგუფები), ახალი სასწავლო წლიდან კი სკოლა გაზიარებისთვის აქტიურად გამოიყენებს ვებ გვერდს.რაც შეეხება, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს, სკოლა ამ ეტაპტზე არ სთავაზობს რაიმე სახის ფასიან მომსახურებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. რამდენადაც სკოლა და მისი პერსონალი ხელმძღვანელობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებით, შესაბამისად ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში დასაქმებულ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სკოლაში ვიზიტისას ან მშობლის დამრიგებელთან კომუნიკაციის საშუალებით. ინფორმირების ძირითადად წყაროდ დამრიგებელი სახელდება ან საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიმართავენ დირექტორს/ადმინისტრაციის წარმომადგენელს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23

მშობლებთან ურთიერთობის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

საინფორმაციო სისტემის Eschool-ის ბაზა;

- *მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/სტატუსის შეჩერების გრძანებები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლას ცალკე დოკუმენტად შემუშავებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. მექანიზმში ყურადღება ეთმობა მოსწავლის ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან სწავლის დაწყებამდე, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას, აგრეთვე, დეტალურადაა განხილული სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია (მუხლი 5). სკოლის მიერ გადმოგზავნილ მოსწავლის ტრანზიციის გეგმაში თარიღების მიხედვით გაწერილია აქტივობები, ტარიღებბი და პასუხისმგებელი პირები; სადამრიგებლო პროგრამის რეფლექსიაში ცალკე გამოყოფილად საუბარი არ არის ახალი მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმებზე, მაგრამ კლასის დამრიგებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ისინი სხვადასხვა აქტივობას ატარებენ ახალი მოსწავლის ეფექტური ინტეგრაციისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. დირექტორის განმარტებით, სკოლა დამრიგებლების დახმარებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოასთან, დაწყებითის მასწავლებლები თანამშრომლობენ სოფელ ჩაისუბნის ბაღთან და წინასწარ ფლობენ ინფორამციას სასკოლო გამოშვების აღსაზრდელების შესახებ; ასევე განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ პირველკლასელების პირველ სასწავლო დღეს, გეგმავენ შესაბამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ღონისძიებებს და სამომავლოდაც აპირებენ ტრადიციის გაგრძელებას. სსსმ მოსწავლეების ადაპტაციისთვის სკოლაში არსებობს რესურსოთახი და სკოლას ჰყავს შესაბამისი სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი.

სკოლაში მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს რთავენ სხვადასხვა ფორმალურ თუ არაფორმალურ ღონისძიებებში/აქტივობებში, რაც მათ ადაპტაციას აადვილებს. დამრიგებელი ახალ მოსწავლეებს აცნობს ცხრილს, სკოლასა და კონკრეტულ კლასში დამკვიდრებულ მიდგომებსა და ტრადიციებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, კერძოდ, საგნის მასწავლებლებლები საჭიროების მიხედვით უწევენ კონსულტირებას. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს, რაც დაადასტურეს მასწავლებლებმა საგნის ექსპერტებთან გასაუბრებისას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, როგორც ზეპირი კომუნიკაციის ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. მასწავლებლები აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას და მზაობას გამოთქვამენ მომავალშიც რეგულარულად გასცენ კონსტრუქციული უკუკავშირი, რაც მათ მოსწავლეებს სიძნელეების დაძლევასა და პროგრესის დანახვაში უკეთ დაეხმარება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ სკოლა გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს მოსწავლეს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით და აცხადებს მზაობას მომავალშიც გააგრძელოს მათი მხარდაჭერა. კერძოდ, ექსტერნატისა და საშემოდგომო გამოცდების დროს მოსწავლეები იღებენ შესაბამის კონსულტაციებსა და მხარდაჭერას. მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, კი ხდება დროული რეაგირება. მაგალითად ხელშეკრულების გაფორმება, მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. სკოლაში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, დაგეგმილია მუდმივი თანამშრომლობა კათედრებს, სადამრიგებლო რგოლსა და სამივე საფეხურის მოსწავლეებს შორის.

ამჟამად სკოლაში ფუნქციონიერებს რამდენიმე კლუბი (ხელოვნების კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი და მათემატიკის კლუბი), ახალი სასწავლო წლისთვის კი სკოლა, კვლავ გეგმავს, სხვადასხვა საგნობრივი კლუბის შექმნას. კლუბის მიზანს წარმოადგენს სასკოლო პროგრამების მხარდაჭერა, მოსწავლეებისთვის საკუთარი თავის გამოხატვის შესაძლებლობების მიცემა. მოსწავლეთა კვლევის, სინთეზის, ანალიზის, დისკუსიის პრეზენტაციის უნარების ჩამოყალიბება, მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გადატანა.

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, (პროექტი „მწვანე სახურავი; „თავისუფალი სივრცე სკოლაში“; სოციალური პროექტი „ ვზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე “; პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია“ და მრავალი სხვ.) აქტივობები, როგორც საკლასო, ასევე სასკოლო დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. (მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა, შეკითხვების ყუთი, მშობლეთა უკუკავშირი) აღნიშნული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტშია გაწერილი. სასკოლო საზოგადოება იაზრებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართულობა და თანამონაწილეობა არაფორმალურ აქტივობებში, განსაკუთრებით კი მათი უკუკავშირი, რომელიც ზეპირი ფორმისაა, მომავლაში კი სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით შეგროვედება და გაანალიზდება მონაცემები (მოსწავლეების გამოკითხვით, ანკეტირებით, ინტერვიუირება). **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი
- ტრანზიციის გეგმა
- დამრიგებლის ანგარიში
- კლუბის რეფლექსია
- კლუბის სამოქმედო გეგმა
- კლუბის ანგარიში
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. პროფესიული ორიენტაცია სკოლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და შესაბამისად, სკოლას აქვს გამოცდილება პროფორიანტიაციის კუთხით მუშაობის. მაგალითად არჩევითი საგნის ფარგლებში ტარდებოდა პროფ. ორიენტაციის გაკვეთილები. სკოლა თანამშრომლობს და ახორციელებს სასწავლო ვიზიტებს პროფესიულ სასწავლებლებთან „ახალი ტალღა,“„პარაგრაფი“. პროფესიათა პოპულარიზაციისათვის ტარდება შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან და სამომავლოდ იგეგმება პროექტის განხორციელება. სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა ტრანციზიის გეგმა (ინდივიდუალური). პროფორიენტაციის მიმართულებით აღსანიშნავია პროექტი - „ახალგაზრდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ ,რომელიც მეწარმეობის განვითარების მიმართულებით განხორციელდა. აგრეთვე აღსანიშნავია ,,ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს პროგრამაში მონაილეობის მიღება, ამ პროექტით მოსწავლეები განსხვავებული პროფესიული საქმიანობებს გაეცნენ და სხვადასხვა საინტერესო ბიზნეს იდეები წარმოადგინეს. სკოლა აპირებს გააფორმოს მემორანდუმი კოლეჯებთან გაფორმებული მემორანდუმის მიზანია და საერთო ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც მორგებული იქნება ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეების ინტერესებზე. დირექტორმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ არაერთი სკოლის მოსწავლე დაინტერესდა სხვადასხვა პროფესიული მიმართულებით და გააგრძელა კიდევაც კოლეჯში სწავლა. გარდა ამისა დამრიგებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროფესიის მშობლებს იწვევენ სკოლაში და ისინი მოსწავლეებს თავიანთ პროფესიაზე ესაუბრებიან. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას, ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში, ასევე მშობლებთან საკომუნიკაციო ჯგუფები, სადაც სიტემატურად იტვირთება სასწავლებლების შემოთვაზებები, ასევე კეთდება მშობლებისა და მოსწავლეების შეხვედრა სკოლაში მოწვეულ სასწავლებლის წარმომადგენლებთან. ასევე, სამომავლოდ იგეგმება პროფორიენტაციის მიზნით დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიები და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები. სკოლას აქვს სრული მზაობა პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი გახადოს მოსწავლეთათვის. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. ხორციელდება ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის მონიტორინგი. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, მათი უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ და მათგან მიღებული უკუკავშირების გათვალისწინება. სკოლა გეგმავს ასევე მიღებული შეფასების საფუძველზე უზრუნველყოს ანალიზის გაკეთება, რომლის შედეგადაც მოხდება გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. **ინდიკატორი არ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანზიციის გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან.. სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებელი და სსსმ პირის ასისტენტი, შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს 6 სსსმ მოსწავლე და აქვს მათთან მუშაობის წარმატებული გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. როგორც უკვე აღვნიშნეთ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. არსებული დოკუმენტაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ ისგ გუნდის მუშაობაში ჩართულია თითოეულ სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული პედაგოგი, მშობელი და სპეციალისტი. მხარდაჭერის პროცესში გათვალისწინებულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინტერესები და პრიორიტეტები. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე რეკომენდაციები მშობლებისთვის, რეკომენდაციები პერსონალურ ასისტენტისთვის მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ეფექტური ჩართულობისთვის, რეკომენდაციები საგნის მასწავლებლებისთვის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. შემუშავებულია კონკრეტული მოსწავლეებისთვის ინტერვენციის გეგემები, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის დოკუმენტი, მოსწავლის სწავლა-სწავლების ხელშემწყობი აკომოდაციები.ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დგინდება რომ სკოლას აქვს მზაობა, მომავალშიც წრმატებით განახორციელოს სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შიდა-მონიტორინგის-დასკვნა-ისგ
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- სამოქმედო გეგმა
- ტრანზიციის გეგმა;
- მოსწავლის-შეფასება-2022-ისგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არასავალდებულო ხასიათის სერვისებს, მათ შორის გახანგრძლივებულ სწავლებას, კვების სერვისს, შემოქმედებით (ქართული ხალხური ცეკვის) წრეს, სატრანსპორტო მომსახურებას. არასავალდებულო სწავლების შეთავაზების დროს (შენობის ფართის იჯარით გაცემა) დაცული უნდა იყოს კანონმდებლობის მოთხოვნა, კერძოდ, სკოლის სამეურვეო საბჭოს თანხმობა(სამეურვეო საბჭოს ოქმი 1 30 იანვარი 2023 წელი) და სერვისების შეთავაზებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლება. შესაბამისად სკოლას წარმოდგენილი აქვს თანხმობის უფლება -წერილი Ш 7 23 0000165366 13/02/2023 გახანგრძლივებული სწავლების სერვისის შეთავაზების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან. მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროცესი მიმდინარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის და სკოლის ჩართულობით. წარმოდგენილია ტაბელი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა მგზავრობის პირობები, გადაადგილების მარშრუტი, ტაბელი სამ ეგზემპლარად დგება და ხელს აწერს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი სკოლიდან, მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული მძღოლი. ტაბელის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს, მეორე უშუალოდ შემსრულებეს, ხოლო მესამე რჩება სკოლაში. რაც წარმოდგენილი აქვს სკოლას. ასევე წარმოდგენილია ცეკვის წრის და კვების ბლოკის შეთავაზების სერვისი- შესაბამისი ფართის გაიჯარება- თანხმობის წერილი და უფლება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესბამისი უწყებიდან. წარმოდგენილია ხელშეკრულებები.

ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას- **სკოლას ეს მომსახურება არ აქვს (ფასიანი წრე, ფაკულტატური მომსახურება) და არ ფასდება ინდიკატორი**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს- **სკოლას არ აქვს მსგავსი მომსახურება- (მაგალითად, ექსკურსიები სკოლის დაფინანსებით, საგანმანათლებლო წრეები სკოლის დაფინანსებით- ინდიკატორი არ ფასდება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამურვეო საბჭოს ოქმიN1 30/01/2023

თანხმობა იჯარაზე, ტრანსპორტი, იჯარის ხელშეკრულებები კვების ბლოკი, ცეკვის წრე , თანხმობა იჯარით ფართის გაცემის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

დაწყებითი საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ეტაპები: რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი; სისტემური დონის რეგულაციები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი; პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პოზიციები; პროცესში ჩართული მხარეები; ძირითადი პროცესები: კავშირი სხვა პროცესებთან.

დოკუმენტში მოაზრებულია კონცეპტუალურ ჩარჩოსა და დიზაინზე მუშაობა, გაწერილია მასწავლებლის, კათედრების, სკოლის დირექციის ფუნქციები. აღწერილია კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგის, გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები. მეთოდოლოგიაში კურიკულუმის დანერგვის პროცესი აღიწერება მოსწავლის, მასწავლებლისა და სკოლის დონეზე. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ დანერგვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოიაზრებს დაგეგმვის ფაზაში შეთანხმებული გეგმების განხორციელებისა და იმ ეფექტების აღწერას, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილი პროცედურები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; მაგრამ აღწერილობები ზოგადია. **ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მეთოდოლოგიაში დაკონკრეტდეს აქტივობები, მათზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეთა ინტერესების გავალისწინება, კერძოდ, მოცემული კომპლექსური დავალებები ეფუძნება მოსწავლეთათვის კარგად ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და გათვალისწინებულია მათი წინარე ცოდნა-გამოცდილება. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმებზე მუშაობისას თანამშრომლობა ხდება, როგორც კათედრის წევრებს, ასევე კათედრებს შორის. სკოლას დაგეგმილი აქვს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასკოლო პრობლემების კვლევაზე დაყრდნობით ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე, გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების, აგრეთვე მათი ინტერესების გათვალისწინებით. ამ ეტაპზე, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში მინიმალურია. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პროცესში მშობელთა ჩართვას, კერძოდ: მშობელთა კრებებზე მოხდება კურიკულუმების განხილვა და მათგან უკუკავშირის მიღება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.ურიკულუმი სრულიად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თითოეულ კათედრაზე, მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შუალედურ მიზნებს . ამ მიზნით იყენებენ პირისპირ ჩატარებულ კრების ფორმატს; გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება, სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა მშობლის ბარათის მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- თვითშეფასების განაცხადი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილების გააქტიურებაზე, სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეულია საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალების იდეა , მოყვანილია ძირითადი და დამხმარე კონტექსტ მაგალითები, რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსი და როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

<u>მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევა: საკითხები გაანაწილონ კონკრეტული თემის და ქვეცნების მიხედვით, რადგან პროცესი გრძელვადიანი მიზნებისკენ მიმართული სწორად იყოს წარმოდგენილი.</u>

<u>სპორტის ექსპერტის რჩევა:</u>

<u>N1. 1-4 კლასების კურიკულუმებში დაამატონ თემები - გასართობი თამაშები სპორტის სხვადასხვა გუნდური სახეობის გამოყენებით (მაგ., კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის);</u>

N2. მე-5 კლასის კურიკულუმში თემა "რაგბი" შეცვალონ თემით "რაგბის ელემენტები".

2.სავალდებულო თემის/თემების ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ქვეცნებები. მასწავლებელი არჩევს კონტექსტ-მაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას /პირობას და შესაბამის რესურსებს, დაგეგმილი პროცესი საინტერესო და მიზანმიმართულია, რაც ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნის ან პრობლემის გადაჭრისას გამოამჟღავნოს შემოქმედებითობა. გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი და რეფლექსია მის ხასიათსა და პიროვნებას აყალიბებს.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ დავალების პირობის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, გამოცდილება და უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს აქვთ მზაობა სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მოსწავლეებს შესთავაზონ მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრუკები ორიენტირდება სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა წარმოდგენილია საგნების მიხედვით მეხუთე და მეექვსე კლასებისთვის, თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

5.მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა მუშაობას სასწავლო პროცესში და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ამავე დროს, კათედრაზე ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება(ძირითადად ზეპირსიტყვიერად), ანალიზი და კოლეგების უკუკავშირი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით ახდენენ კომპლექსური დავალებებისა და კურიკულუმების დახვეწას და საჭიროებებზე მორგებას. წარმოდგენილი კურიკულუმები არის გასული სასწავლო წლის კურიკულუმების მოდიფიცირებული ვერსია. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსური დავალებები
- შეფასების რუბრიკები
- სსსმ მოსწავლეთა ნაშრომები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 **კურიკულუმის განხორციელება**

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემებისა და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეულ კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში კონტექსტ მაგალითები მოცემულია იმგვარად, რომ მოსწავლემ შეძლოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლა. სავალდებულო თემების ფარგლებში, შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. მეტად წახალისებული იქნება მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა), ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? არის კი მკაფიო, სპეციფიკური, დროსა და სივრცეში გაწერილი, თუ ბუნდოვანი და ზოგადი? რას აკეთებს მიზნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მისაღწევად? რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება, თუ შეცვლის სტრატეგიას და ა.შ. მეტაკოგნიციაზე აქცენტი მეტად აისახება კურიკულუმში, სასწავლო პროექტებში; მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მოქმედების წესებისა და სტრატეგიების გამოყენებას და ცოდნის მკვიდრ წარმოდგენად ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები
- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეყრდნობა სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. კომპლექსურ დავალებებში ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში გამოყოფილია საკითხები. თითოეული საკითხისთვის განსაზღვრულია სამიზნე ცნება/ცნებები, იმ პრინციპით, რომ სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება საგნის ყველა სამიზნე ცნება. შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნენებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება, კლასგარეშე აქტივობები, ექსკურსიები, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგებმა დაასახელეს რამდენიმე ღონისძიება, რაც უთუოდ ეხმარება მოსწავლეს ფსიქო-სოციალურ განვითარებაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება, განვითარების ყველა სფეროს მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას, პარალელური კლასის მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, რაც გამჭირვალობის დასტურია. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის პროცესის გეგმა და ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა. ვერიფიკაციის პროცესის გეგმაში მითითებულია ეტაპზე პასუხისმგებელი და მონაწილე პირები. მოცემულია აქტივობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების შედეგად ხდება ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა და რეკომენდაციების შემუშავება. თუმცა, ამ დოკუმენტში არ არის მითითებული აქტივობების განხორციელების ვადები. საბოლოო დასკვნის ფორმაში აღიწერება პროცესები შემდეგი მიმართულებით: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. აქვე არის გათვალისწინებული თითოეული მიმართულებისათვის რეკომენდაციის შემუშავება. <u>ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ ვერიფიკაციის პროცესის გეგმაში თითოეული აქტივობისათვის განისაზღვროს ვადები.</u> **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემს ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრაზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი წერის ანალიზები
- მოსწავლეთა ნამუშევრები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციაა სასკოლო საზოგადოების წევრთა შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის კონკურსებსა და პროექტებში იღებენ მონაწილეობას. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პროექტებში ჩართულობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. პედაგოგები იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სამომავლოდ ეცდებიან, გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბის საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური წერების ჩატარებას. მასწავლებლებმა წარმოადგინეს მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემები, რომელიც ცოდნისა და უნარების შემოწმებაზეა ორიენტირებული და ეფუძნება როგორც კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტ-მაგალითებს, ასევე სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ მრავლფეროვანი რუბრუკები, კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სოლო ტაქსონომიის განმავითარებები შეფასების რუბრიკები; სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები (პრეზენტაციის,ჯგუფური შეფასების); მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს, ივსება სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ტარდება ინტერვიუები. სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური წერების ჩატარებას, ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდების - ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფთან დიალოგის, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვას სკოლაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ გეგმავენ კურიკულუმებში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად, მოხდეს შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან. ასევე შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის დანახვას მრავალმხრივი კონტექსტიდან და მიზნობრივ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- თვითშსეფასების შევსებული ფორმა
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომელშიც დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ყველა კათედრამ გამოხატა მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საფეხურის დონეზე. და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს კურიკულუმების მონიტორინგს, ხოლო - სასწავლო წლის ბოლოს კურიკულუმების შეფასებასა და რევიზიას, რის საფუძველზე შემუშავდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში უკვე ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება, კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა რამ იმუშავა/არ იმუშავა კარგად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინეტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- თვითშსეფასების შევსებული ფორმა
- შეფასების რუბრიკები
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საშუალო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ეტაპები: რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი; სისტემური დონის რეგულაციები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი; პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პოზიციები; პროცესში ჩართული მხარეები; ძირითადი პროცესები: კავშირი სხვა პროცესებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დოკუმენტში მოაზრებულია კონცეპტუალურ ჩარჩოსა და დიზაინზე მუშაობა, გაწერილია მასწავლებლის, კათედრების, სკოლის დირექციის ფუნქციები. აღწერილია კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგის, გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები. მეთოდოლოგიაში კურიკულუმის დანერგვის პროცესი აღიწერება მოსწავლის, მასწავლებლისა და სკოლის დონეზე. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ დანერგვა მოიაზრებს დაგეგმვის ფაზაში შეთანხმებული გეგმების განხორციელებისა და იმ ეფექტების აღწერას, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილი პროცედურები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; მაგრამ აღწერილობები ზოგადია. **ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ მეთოდოლოგიაში დაკონკრეტდეს აქტივობები, მათზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეთა ინტერესების გავალისწინება, კერძოდ, მოცემული კომპლექსური დავალებები ეფუძნება მოსწავლეთათვის კარგად ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და გათვალისწინებულია მათი წინარე ცოდნა-გამოცდილება. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმებზე მუშაობისას თანამშრომლობა ხდება, როგორც კათედრის წევრებს, ასევე კათედრებს შორის. სკოლას დაგეგმილი აქვს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასკოლო პრობლემების კვლევაზე დაყრდნობით ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე, გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების, აგრეთვე მათი ინტერესების გათვალისწინებით. ამ ეტაპზე, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში მინიმალურია. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მშობელთა ჩართვას, კერძოდ: მშობელთა კრებებზე მოხდება კურიკულუმების განხილვა და მათგან უკუკავშირის მიღება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. საშუალო საფეხურზე კურიკულუმები სრულიად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თითოეულ კათედრაზე, მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შუალედურ მიზნებს . ამ მიზნით იყენებენ პირისპირ ჩატარებულ კრების ფორმატს; გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება, სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა მშობლის ბარათის მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- თვითშეფასების განაცხადი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილების გააქტიურებაზე, სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეულია საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალების იდეა , მოყვანილია ძირითადი და დამხმარე კონტექსტ მაგალითები, რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსი და როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2.სავალდებულო თემის/თემების ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ქვეცნებები. მასწავლებელი არჩევს კონტექსტ-მაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას /პირობას და შესაბამის რესურსებს, დაგეგმილი პროცესი საინტერესო და მიზანმიმართულია, რაც ასევე იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნის ან პრობლემის გადაჭრისას გამოამჟღავნოს შემოქმედებითობა. გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი და რეფლექსია მის ხასიათსა და პიროვნებას აყალიბებს.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ დავალების პირობის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, გამოცდილება და უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს აქვთ მზაობა სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მოსწავლეებს შესთავაზონ მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები.**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრუკები ორიენტირდება სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა წარმოდგენილია საგნების მიხედვით მეხუთე და მეექვსე კლასებისთვის, თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5.მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა მუშაობას სასწავლო პროცესში და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ამავე დროს, კათედრაზე ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება(ძირითადად ზეპირსიტყვიერად), ანალიზი და კოლეგების უკუკავშირი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით ახდენენ კომპლექსური დავალებებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმების დახვეწას და საჭიროებებზე მორგებას. წარმოდგენილი კურიკულუმები არის გასული სასწავლო წლის კურიკულუმების მოდიფიცირებული ვერსია. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსური დავალებები
- შეფასების რუბრიკები
- სსსმ მოსწავლეთა ნაშრომები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემებისა და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეულ კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კონტექსტ მაგალითები მოცემულია იმგვარად, რომ მოსწავლემ შეძლოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლა. სავალდებულო თემების ფარგლებში, შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. მეტად წახალისებული იქნება მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა), ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? არის კი მკაფიო, სპეციფიკური, დროსა და სივრცეში გაწერილი, თუ ბუნდოვანი და ზოგადი? რას აკეთებს მიზნის მისაღწევად? რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება, თუ შეცვლის სტრატეგიას და ა.შ. მეტაკოგნიციაზე აქცენტი მეტად აისახება კურიკულუმში, სასწავლო პროექტებში; მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მოქმედების წესებისა და სტრატეგიების გამოყენებას და ცოდნის მკვიდრ წარმოდგენად ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები
- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეყრდნობა სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. კომპლექსურ დავალებებში ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში გამოყოფილია საკითხები. თითოეული საკითხისთვის განსაზღვრულია სამიზნე ცნება/ცნებები, იმ პრინციპით, რომ სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება საგნის ყველა სამიზნე ცნება. შუალედური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნენებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება, კლასგარეშე აქტივობები, ექსკურსიები, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგებმა დაასახელეს რამდენიმე ღონისძიება, რაც უთუოდ ეხმარება მოსწავლეს ფსიქო-სოციალურ განვითარებაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება, განვითარების ყველა სფეროს მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას, პარალელური კლასის მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, რაც გამჭირვალობის დასტურია. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

5. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის პროცესის გეგმა და ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა. ვერიფიკაციის პროცესის გეგმაში მითითებულია ეტაპზე პასუხისმგებელი და მონაწილე პირები. მოცემულია აქტივობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების შედეგად ხდება ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა და რეკომენდაციების შემუშავება. თუმცა, ამ დოკუმენტში არ არის მითითებული აქტივობების განხორციელების ვადები. საბოლოო დასკვნის ფორმაში აღიწერება პროცესები შემდეგი მიმართულებით: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. აქვე არის გათვალისწინებული თითოეული მიმართულებისათვის რეკომენდაციის შემუშავება. <u>**ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ ვერიფიკაციის პროცესის გეგმაში თითოეული აქტივობისათვის განისაზღვროს ვადები.**</u> **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემს ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრაზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი წერის ანალიზები
- მოსწავლეთა ნამუშევრები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციაა სასკოლო საზოგადოების წევრთა შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის კონკურსებსა და პროექტებში იღებენ მონაწილეობას. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პროექტებში ჩართულობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. პედაგოგები იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სამომავლოდ ეცდებიან, გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბის საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია კოლაბორაციისა და კომუკაციის უნარების განვითარებაზე. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენონ ჯგუფური და წყვილებში მუშაობა, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის, სხვისი აზრის მოსმენის, კვლევითი უნარების, პატივისცემისა და თავისი მოსაზრების მკაფიოდ წარმოჩენის უნარების ჩამოყალიბებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს მათ მიერ განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, რომელზეც ისაუბრეს მასწავლებლებმა. ასევე კათედრების შეხვედრები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლებთან შეხვედრები), იზიარებს მათ უკუკავშირს და აქვს სიახლეების მაღალი მიმღებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კონტექსტ-მაგალითები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ ქცევის წესებს, შეძლებისდაგვარად ცდილობენ სასწავლო სივრცის გამრავალფეროვნებას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, მათთვის სასურველი ფორმით წარმოადგინონ პროდუქტი. კონსტრუქციული უკუკავშირები ხელს უწყობს პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნას. სკოლაში საგნობრივ კათედრებიმუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სამოქმედო გეგმაში მოცემული აქტივობები, ერთობლივად განხორციელებული პროექტები უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას სასკოლო დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- დაგეგმილი და განხორციელებული გაკვეთილები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- მოსწავლეთა ნამუშევრები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ასოცირდება კათედრის წევრებსა და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლისათვის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებას მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ, რომელშიც გაწერილია როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვის მექანიზმები. დოკუმენტში ასახულია როგორ , რა საშუალებებით, ვის მიერ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. როგორ ხდება მოპოვებული ინფორმაციის ასახვა ახალ სასწავლო გეგმაში . ასევე წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა , რომელშიც გაწერილია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, რაც მოიცავს მონიტორინგის პროცესსაც. ინტერვიუზე აღინიშნა,რომ სკოლაში არსებული პრაქტიკით მონიტორინგი მოიცავს, როგორც გაკვეთილებზე დასწრებას და დაკვირვებას წინასწარ შემუშავებული რუბრიკით, ასევე მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებს, კათედრის წევრების ურთიერთდასწრებას და უკუკავშირს. სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, /კათედრების/დამრიგებლების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასებასებისას უნდა გამოიკვეთოს თუ რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას და გამოკვეთილი გამოწვევების საპასუხოდ რეკომენდაციების შემუშავებასა და ინტერვენციების განხორციელებას. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოვლენა. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების ანალიზის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფუძველზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება.მონიტორინგი და შეფასება მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის . სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა .არსებობს „კრიტიკული მეგობრის " ინსტიტუტი .მასწავლებლისა და დამკვირვებლის რეფლექსიის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს .პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული . სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი გამოიყენოს გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის საშუალებად, კერძოდ, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების შემდეგ იგეგმება რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება, რომელთა შესრულება პრობლემის აღმოფხვრას განაპირობებს. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები კომპლექსური ბუნების დავალებისას განხორციელებული განმავითარებელი შეფასების ანალიზისა და შემაჯამებელი დავალების ანალიზის საფუძველზე აფასებენ მოსწავლეთა სწავლის პროცესს , ადგენენ იმ სფეროებს და უნარებს, სადაც მოსწავლეებს დახმარება სჭირდებათ, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით, წარმართავენ/გეგმავენ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმები ეყრდნობა მასწავლებელთა, მოსწავლეთა თვითშეფასების, აგრეთვე ურთიერთშეფასების სქემებს, განხორციელებული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიებს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს დიგნოსტიკური წერების ორგანიზებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლემ თავად შეძლოს ცოდნის კონსტრუირება, იძლევა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

2. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური წერების ჩატარებას. მასწავლებლებმა წარმოადგინეს მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემები, რომელიც ცოდნისა და უნარების შემოწმებაზეა ორიენტირებული და ეფუძნება როგორც კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტ-მაგალითებს, ასევე სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ მრავლფეროვანი რუბრუკები, კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სოლო ტაქსონომიის განმავითარებები შეფასების რუბრიკები; სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები (პრეზენტაციის,ჯგუფური შეფასების); მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს, ივსება სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ტარდება ინტერვიუები. სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წერების ჩატარებას, ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდების - ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებთან დიალოგის, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვას სკოლაში. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

4. წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ გეგმავენ კურიკულუმებში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად, მოხდეს შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან. ასევე შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის დანახვას მრავალმხრივი კონტექსტიდან და მიზნობრივ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- თვითშსეფასების შევსებული ფორმა
- შეფასების რუბრიკები
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომელშიც დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ყველა კათედრამ გამოხატა მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის, ასევე საფეხურის დონეზე. და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს კურიკულუმების მონიტორინგს, ხოლო - სასწავლო წლის ბოლოს კურიკულუმების შეფასებასა და რევიზიას, რის საფუძველზე შემუშავდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში უკვე ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება, კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა რამ იმუშავა/არ იმუშავა კარგად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინეტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- თვითშსეფასების შევსებული ფორმა
- შეფასების რუბრიკები
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

24.10.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---